ხელშეკრულება № 2014/151

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი „26" „სექტემბერი" 2014 წ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის **ალექსანდრე ბურჭულაძის** სახით და **შპს „იუ-ჯი-თი"**, შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად", წარმოდგენილი გენერალური დირექტორის **ერმილე სულაძის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 სექტემბრის №1693 განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" - პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. „ინსპექტირება" - ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2. ხელშეკრულების საგანი

მაგიდის კომპიუტერები (დესკტოპები) CPV-30213300

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 23,190.00 (ოცდასამი ათას ას ოთხმოცდაათი) ლარს.

3.2. საქონლის ტექნიკური მახასიათებლები და ერთეულის ფასი მოცემულია ხელშეკრულების დანართში „ფასების ცხრილში".

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მისაწოდებელი საქონლის ღირებულებას და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.4. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) განხორციელოს საქონლის მიწოდება ხელშეკრულების დანართის, „ფასების ცხრილის" შესაბამისად, ამავე დანართში მითითებულ ვადაში და ადგილზე.

გ) ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში წარუდგინოს შემსყიდველს საავანსო თანხის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 100%-ის ოდენობით, ხოლო თუ მიმწოდებელი რეგისტრირებულია თეთრ სიაში ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველ ორგანიზაციას წინასწარ გადასახდელი თანხის ნახევრის ოდენობის გარანტია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 (ოცდაათი) დღით უნდა აღემატებოდეს საქონლის მიწოდების ვადას;

გ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება;

ბ) შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. გარანტია

5.1. საქონელზე გარანტია ვრცელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან მწარმოებლის საერთაშორისო საგარანტიო პოლიტიკის შესაბამისი საგარანტიო მომსახურება 3 (სამი) წლის განმავლობაში.

5.2. საგარანტიო ვადის განმავლობაში, ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში შემსყიდველის მიერ დგება შესაბამისი წერილობითი დოკუმენტი, სადაც აღიწერება არსებული ხარვეზი, რის საფუძველზეც ხარვეზის აღმოსაფრხველად შემსყიდველი მიმართავს მიმწოდებელს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია აღნიშნული აღმოფხვრას მოთხოვნიდან და საგარანტიო საქონლის მიმწოდებლის სერვის ცენტრში (თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. #17ა) წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

6. ინსპექტირება

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელების დროს.

6.2. ინსპექტირებას განახორციელებენ სსიპ „სმართ ლოჯიქის" ტექნიკური მხარდაჭერის დეპარტამენტის უფროსი თენგიზ თიკანაშვილი და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მრჩევლები - თამარ სხიერელი, ზვიად ვეკუა, მარი მაისურაძე და ზაზა გურასპაშვილი, რომლებიც უფლებამოსილები არიან ინსპექტირება განახორციელონ როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლივად.

6.3. შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

6.4. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ საქონელს აღმოაჩნდება წუნი, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში ჩაანაცვლოს წუნდებული საქონელი ახლით.

7. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

გ) დაფინანსების წყარო: 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულების 100% ავანსის სახით, 4.1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნტით გათვალისწინებული საავანსო საბანკო გარანტიის საფუძველზე არაუგვიანეს საავანსო საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8.3 მოწოდებული საქონლის შესაბამისი ღირებულების ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ მოხდება ავანსის სახით გადახდილი თანხის გამოქვითვა.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების დანართის, „ფასთა ცხრილის“ მიხედვით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0.01%-ის ოდენობით.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების 6.4 პუნქტით გათვალისწინებული პირობის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წუნდებული საქონლის ღირებულების 0.01%-ის ოდენობით.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულების 8.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.01%-ის ოდენობით.

10.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.6. პირგასამტეხლოს გამოთვლისას არ გამოიანგარიშება ინსპექტირებისთვის გახარჯული დრო.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი - შემსყიდველს.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო,	შპს შპს „იუ-ჯი-თი",
წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის	წარმოდგენილი დირექტორის
ალექსანდრე ბურჭულაძის სახით,	ერმილე სულაძის სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №24ა,	მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 17ა,
ტელეფონი: 2 405 815,	ტელეფონი: 222 05 05, 599 090-250
საბანკო რეკვიზიტები: ანგ. № GE24NB0330100200165022,	საბანკო რეკვიზიტები: ანგ. № GE88BG0000000261644601,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22,	სს "საქართველოს ბანკი" კოდი: BAGAGE22,
სკ - 203845349	სკ - 204892964
---	---

ფასების ცხრილი

საქონლის სრული დასახელება (მოდელის მითითებით)	მოთხოვნილი ტექნიკური მახასიათებლები	მწარმოებელი ქვეყანა	რაოდენობა	ერთ.ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)	მიწოდების ადგილი
მონიტორი: HP ProDisplay P221	ტიპი-21,5" Widescreen უკანა LED განათებით, ფორმატი-16:09, მატრიცის ტიპი-TN, გარჩევადობა-1920x1080, კონტრასტულობა- 3 000 000:1, სიკაშკაშე-250 ცდ/მ2, უკანა განათების სამუშაო ციკლი-30 000 საათი, ხედვის კუთხე-178° ჰორიზონტალი, 178° ვერტიკალი,უნდა გააჩნდეს Plug and Play ტექნოლოგიის მხარდაჭერა-Plug and Play ტექნოლოგიის მხარდაჭერა,დახრის კუთხე: –5, +25 გრადუსი, ვიდეო პორტები- DVI, VGA, მონიტორს უნდა მოყვებოდეს შესაბამისი კვების კაბელი და ვიდეო კაბელები- DVI და VGA	ჩინეთი				ქ.თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N17ª
სისტემური ბლოკი: HP EliteDesk 705 G1 SFF Business PC	პროცესორი-AMD A8-6500B, ბირთვების რაოდენობა-4 ბირთვი, GPU ტაქტური სიხშირე-800 MHz, ნაკადების რაოდენობა-4, L2 „ქეში"-4 მეგაბაიტი, ტაქტური სიხშირე-3.5 GHz (ხოლო Turbo რეჟიმში 4,1 GHz), ვირტუალიზაციის მხარდაჭერა, ჩაშენებული ვიდეო პლატა- DX10-ის ან DX11-ის მხარდაჭერით, მყარი დისკის კონტროლერი- SATA, 3 ინტერფეისი, ჩაშენებული ქსელის ადაპტერი- RJ-45 10/100/1000, გაფართოების სლოტები- DIMM სლოტი (Dual Channel-ის მხარდაჭერით) - 4 ცალი; low-profile PCIe x16 (x4) - 1 ცალი, low-profile PCIe x16 - 1 ცალი; low-profile PCIe x1 - 1 ცალი, პორტები- USB 12-ცალი, აქედან 4 ცალი USB 3.0 და 2 ცალი USB 2.0 სისტემური ბლოკის წინა პანელზე; 2 ცალი USB 3.0 და 4 ცალი USB 2.0 უკანა პანელზე,გრაფიკული ინტერფეისები-ერთი DisplayPort ინტერფეისი DVI ადაპტერით და ერთი VGA ინტერფეისი, ოპერატიული მეხსიერება- 4GB ერთი მოდულით; ტიპი: DDR3 (1600MHz), მყარი დისკი- 500 GB 7200 rpm SATA 6Gb/s, DVD/CD წამკითხველი (DVD/CD Rom)-სისტემურ ბლოკს აქვს 1 DVD წამკითხველისთვის განკუთვნილი თავისუფალი ადგილი, კლავიატურა: HP კლავიატურა 104 კლავიში USB, მაუსი: HP მაუსი USB (scroll-ის ფუნქციით),ოპერაციული სისტემა- Free OS	ჩინეთი	30	773	23190	

მომსახურების გაწევის ვადა : ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) დღე.

ხელმოწერა/ბეჭედი ----------

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

2014 წლის „26" „სექტემბერი"

ვადასტურებ, რომ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, მაგიდის კომპიუტერების (დესკტოპი) CPV-30213300 შესყიდვასთან დაკავშირებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში, შპს ,,იუ-ჯი-თისთან", ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

მინისტრის მოადგილე	_____	ალექსანდრე ბურჭულაძე
ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი	_____	ვასილ ჯანჯღავა
ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	_____	ნათია ლომაურიძე
ეკონომიკური დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი	_____	ვლადიმერ ღუდუშაური
ეკონომიკური დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს მრჩეველი	_____	გიორგი ორჯონიკიძე

საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1693 2014 წლის 19 სექტემბერი ქ. თბილისი

შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სტანდარტული პერსონალური კომპიუტერების 2014 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (CON140000021) სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი ტექნიკური სპეციფიკაციების მქონე კომპიუტერების სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით შემსყიდველმა ორგანიზაციებმა 2014 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (CON140000021) სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი (ან უკეთესი) ტექნიკური სპეციფიკაციების მქონე კომპიუტერების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელონ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, მათთვის 2014 წლის კრიტიკულად აუცილებელი ოდენობით და არა უმეტეს სტანდარტული პერსონალური კომპიუტერების 2014 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (CON140000021) საწყის სავაჭრო ფასად (780 ლარი).

2. განკარგულება ძალაშია 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი